მე-7 კლასი

სავარჯიშო I. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი:

1. ჩამოთვლილთაგან რომელია ბრუნებადი სიტყვა?
   ა) ათი ბ) თურმე გ) ვიშ!
2. ჩამოთვლილთაგან რომელია ბრუნებადი სიტყვა?
   ა) სვამს ბ) გაუღია გ) წერა
3. ჩამოთვლილთაგან რომელია სრული ფუძე?
   ა) ფანჯრის ბ) მზით გ) კაცად
4. ჩამოთვლილთაგან რომელია უსრული ფუძე?
   ა) ქარის ბ) გულმა გ) გზის
5. ჩამოთვლილთაგან რომელია კუმშვადი სახელი ?
   ა) მგელი ბ) ჯარი გ) მთა

სავარჯიშო II. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი:

6. მოცემულთაგან რომელია ზმნიზედა?
   ა) კარგად ბ) მოხდენილი გ) გულიანი
7. რომელ ჯგუფს განეკუთვნება ზმნიზედა წინადადებაში:
   „ამ დროს მამალმაც დაიყვირა: „პეტრემ - უარყოო!.“
   ა) ადგილის ბ) დროის გ) ვითარების
8. რომელ ჯგუფს განეკუთვნება ზმნიზედა წინადადებაში:
   „აქ, დიახ, აქ, არწივები დასტრიალებენ თავზე თავის მშობელს, .“
   ა) ადგილის ბ) დროის გ) მიზეზის
9. რომელ ჯგუფს განეკუთვნება ხაზგასმული სიტყვა წინადადებაში:
   „მიყვარხარ და <u>ამად</u> ვდარდობ, მინდა კარგად მყავდე.“
   ა) ადგილის ბ) ვითარების გ) მიზნის
10. რომელ ჯგუფს განეკუთვნება ზმნიზედა წინადადებაში:
    „განუწყვეტლივ ლოცულობდა თეთრწვერა თორნიკე სამშობლოზე.“
    ა) ვითარების ბ) მიზნის გ) მიზეზის
11. რომელი ჯგუფის ნაცვალსახელია გამოყენებული წინადადებაში:
    „ჩემს დას უყვარს ეგ წიგნი, გთხოვთ, მომაწოდეთ.“
    ა) კუთვნილებითი ბ) კითხვითი გ) კითხვით-კუთვნილებითი
12. რომელი ჯგუფის ნაცვალსახელია გამოყენებული წინადადებაში:
    „ეს კლდე მთელი მთაა კლდედ, ქვად გადაქცეული, პირისპირ ცისა, მზისა და დაბლა ქვეყნისა!“
    ა) ჩვენებითი ბ) კუთვნილებითი გ) პირის
13. რომელი ჯგუფის ნაცვალსახელია გამოყენებული წინადადებაში:
    „ვინ მოვიდა?_ გასძახა ბაჩანამ ბებოს.“
    ა) ჩვენებითი ბ) პირის გ) კითხვითი
14. რომელი ჯგუფის ნაცვალსახელია გამოყენებული წინადადებაში:
    „კაცმა რომ თქვას, არც კი გიცნობთ.“
    ა) ჩვენებითი ბ) განუსაზღვრელობითი გ) კუთვნილებითი
15. რომელი ჯგუფის ნაცვალსახელია გამოყენებული წინადადებაში:
    „კლდე ღამღამობით სტირის, რომ არავინა ნახოს და არ დაჰგმოს, ცის ტირილზე მეტია იმის ტირილი.“
    ა) კითხვითი ბ) განსაზღვრებითი გ) უარყოფითი

სავარჯიშო III. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი:

16. რომელი მხატვრული ხერხია გამოყენებული შემდეგ წინადადებაში:
,,საღამოს პირას უსკდებოდათ პაწია გულები, გადატრიალდებოდნენ ჰაერში და ფრთაგაშლილნი მოექანებოდნენ მიწისკენ გულაღმა, თითქოს ეთხოვებოდნენ ცას, მზეს და მოძმეებს...“

ა) ეპითეტი ბ) მეტაფორა გ) ჰიპერბოლა

17. შემოხაზეთ სტრიქონიდან სტრიქონზე გადასატანად სწორად დამარცვლილი სიტყვა:

ა) ჩაუ-ქროლეს ბ) აღ-მოჩნდა გ) ეღვ-რებოდა

18. ,,სახტად დარჩა“ ანუ

ა) გაოცდა ბ) სახსარი ატკივდა გ) გაიღიმა

19. ჩამოთვლილთაგან რომელია ანდაზა?

ა) ,,კარგი ცხენი მათრახს არ დაირტყამსო.“

ბ) ,,გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი.“

გ) ,,ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია.“

20. სიტყვაში ,,ღიმილიანი“ -იან არის

ა) ზედსართავი სახელის ხარისხის ფორმის მაწარმოებელი სუფიქსი.

ბ) ქონა-ყოლის მაწარმოებელი სუფიქსი.

გ) თანდებული.